ეროვნული
ბიბლიოთეკა

1
1967

— ამბავიანებელმა ოფიციალურმა ფრაზა ბევრ ადამიანს ეძლევა ეფექტიანად ბანალური, ბუნებრივი ხმა ბანალურობას ამბავი ბევრი ფიქრის პროვოცირებელი

№ 1 (1251) თებერვალი ნაბეჭდია 1967

ლიანგი

ამოიღებს ორ-ორ ფურცელ ფასი 20 კაპ

— გთხოვთ მიმიღოთ გავშვეგის მოვლელად!
— თქვენ ჯერ საკუთარ თავს მოუარეთ!

ლირსშესანიშნავი ამბავი ზოოპარკზე და ახალგაზრდებზე, სადაც გამოჩნდა მსუქანი ვაჟი

მე და ჩემს ძმაკაცს — შალვას უსაქმურობა გვაწვალებდა და არ ვიცოდით, როგორ გაგვერთო თავი.

ზოოპარკის მოლარე მოწყენილი იყო, კონტროლიორიც...

გალიებში ჩვენ ვნახეთ სპილო, ლომი, ვეფხვი, ჯიქი, ავაზა, მგელი, ირემი და სხვა ცხოველები. ისინიც მოწყენილები იყვნენ...

ერთ-ერთ გალიასთან გამოცოცხლება შევნიშნეთ და იქით გავემართეთ მე და შალვა. აქ იდგა ბევრი ჭაბუკი ერთად, ანუ როგორც ეძახიან ბევრ ჭაბუკს ერთად — ახალგაზრდობა. ახალგაზრდობა გალიას უყურებდა. ის ჭაბუკები, რომლებიც წინა ჭაბუკების უკან იდგნენ, ფეხისწვერებზე იწეოდნენ. მე და ჩემი ძმაკაცი შალვა გალიისკენ წავედით და გაჭირვებით მივაღწიეთ რკინის მოაჯირს. ჩვენს გვერდით იდგა მსუქანი ვაჟი. მას ხელში პარკი ეკავა და დიდი თვალები ჰქონდა. მან პარკიდან ამოიღო შოკოლადის კამფეტი, რომელიც ქაღალდში იყო გახვეული. ქაღალდი ლურჯი იყო, ვაჟს კი წითელი ლოყები ჰქონდა. მაიმუნს არაფერი ეცვა, მაგრამ ისეთი ბანჯგვლიანი იყო, რომ ჩაცმულს ჰგავდა. მსუქან ვაჟს ეცვა და მშვენიერი კეპიც ეხურა. იმ ვაჟს და მაიმუნს მხოლოდ რკინის ბადე ჰყოფდა. ვაჟმა კამფეტიანი ხელი წინ გაიშვირა. მაიმუნმა თათი გამოჰყო და კამფეტი გამოართვა. ბიჭებს ეგონათ, რომ მაიმუნი ქაოლოდიანად შეჭამდა კამფეტს, მაგრამ მაიმუნმა კამფეტს ქაღალდი შემოაცალა და ისე შეჭამა. ჭაბუკებს აღტაცებული წამოძახილი აღმოხდათ. რომელიღაცამ ტაში დაუკრა.

— სულელი დაუძახე ახლა შენ მაგას! — განაცხადა მსუქანმა ვაჟმა.

მაიმუნი ვაჟს უყურებდა, ვაჟიც უყურებდა მაიმუნს.

— კიდევ უნდა! — დასძინა ვიღაცამ.

ვაჟმა კამფეტი ამოიღო, ქაღალდი შემოაცალა და შეჭამა. ტაში არავის დაუკრავს. მერე ვაჟი დაიხარა, კენჭი აიღო და ლურჯ ქაღალდში გაახვია, ეტყობოდა, რაღაც ჩაიფიქრა.

მაიმუნი თვალს ადევნებდა.

— მოვატყუოთ! — გაანდო თავისი ჩანაფიქრი მსუქანმა ახალგაზრდებს.

უკანა ჭაბუკები ფეხისწვერებზე იწეოდნენ.

ვაჟმა წინ გაიშვირა ხელი. მაიმუნი ჯერ არ ართმევდა კამფეტს. მერე გამოართვა და გაუხსნელად ესროლა უკანვე.

— ვაააა!!! — აღმოხდა განცვიფრებულ ახალგაზრდას.

მაიმუნი არ მოტყუვდა, მოტყუვდა მსუქანი ვაჟი.

იგი სასოწარკვეთით იხედებოდა.

რაღაც მოიფიქრა.

კამფეტი აიღო, ქაღალდი შემოაცალა და შესარიგებლად გაუწოდა. მაიმუნმა გამოართვა და შეჭამა. მერე ვაჟმა ქაღალდიანი კამფეტი თავზემოთ გადაუგდო. მაიმუნი მიტრიალდა. ვაჟმა სასწრაფოდ მოავლო თავის მრავალრიცხოვან ამხანაგებს თვალი, ყველაზე ჭკვიანი გამომეტყველების ჭაბუკი ამოარჩია, ქაღალდიანი კამფეტი გაუწოდა და ჩურჩულით უთხრა:

— ქვა გაახვიე, ოღონდ კარგი, კამფეტს რომ ჰგავდეს!

ის ჭაბუკი კარგი კენჭის მოსაძებნად გაიქცა. ვიდრე გაზონებში იქექებოდა, მსუქანი ვაჟი ისევ აწვდიდა მაიმუნს კამფეტებს. მაიმუნი ქაღალდს აცლიდა და ჭამდა. ახალგაზრდობა ღელავდა.

მსუქანი ვაჟის „ასისტენტი“ დაბრუნდა და ვაჟს მხრის შეხებით აგრძნობინა, მოვედიო. ახლა ისინი მხარდამხარ იდგნენ. მსუქანმა თავზევით გადაუგდო მაიმუნს კამფეტი. მაიმუნი შეტრიალდა, „ასისტენტმა“ მსუქან ვაჟს ქაღალდში გახვეული ქვა მისცა. მაიმუნი შემოტრიალდა. „ასისტენტს“ შეეშინდა, კიდევ არ მიხვდესო და, ვითომ აქაო და არაფერიო, სტვენა დაიწყო.

მსუქანმა ვაჟმა ღალატიანად მიაწოდა ქაღალდში გახვეული კენჭი მაიმუნს. ახალგაზრდობა ღელავდა.

მაიმუნმა გახსნა ქაღალდი, დაინახა კენჭი და სახტად დარჩა. ახალგაზრდობამ იხუვლა, გაისმა მხიარული შეძახილები.

მსუქანი ვაჟი იდგა ამაყად და გახარებული.

გამარჯვებული ახალგაზრდობა ნელა იშლებოდა.

შალვას ძმაკაცი

გასაგებია???

(ერთი დაწესებულების მსგავსი დაწესებულება)

ამიანის ქუჩაზე ყვითლად შეღებილი დიდი სახლი დგას, სადარბაზოსთან კარისკაცი დგას, მესამე სართულზე დირექტორის კაბინეტი დგას, კაბინეტში ლომის ფეხებზე შემდგარი საწერი მაგიდა დგას, მაგიდაზე ას თერთმეტზე მეტი ტელეფონი დგას, მათ გვერდით ვეებერთელა დირექტორი დგას. დირექტორს მხარს უმშვენებს დირექტორივით მოდღლეზილი სეიფი, რომელიც დირექტორივით დგას. დირექტორთან რომ დირექტორის მაგიდა დგას, იმ მაგიდაზე წიგნი დევს. წიგნს აწერია — „სიბრძნე სიცრუისა“.

დირექტორი თითს აჭერს ღილაკს. შემოდის მდივანი ქალი.

მ დ ი ვ ა ნ ი ქ ა ლ ი: გისმენთ, გერ ხარიოვიჩ!

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი: დამიძახეთ დაბარაძეს და აბარაძეს!

მ დ ი ვ ა ნ ი ქ ა ლ ი: გასაგებია, გერ ხარიოვიჩ!

მდივანი ქალი გადის და შემოდიან დაბარაძე და აბარაძე.

დ ა ბ ა რ ა ძ ე: გისმენთ, გერ ხარიოვიჩ!

ა ბ ა რ ა ძ ე: გისმენთ, გერ ხარიოვიჩ!

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი: მდაა! კაცო, **თბელია ივეწმა სირდნელაკ ნათხოჯ თიბოდივშმ იშკიჭნაჭ ედმოალფასას!** გასაგებია?!

დ ა ბ ა რ ა ძ ე: გასაგებია, გერ ხარიოვიჩ!

ა ბ ა რ ა ძ ე: გასაგებია, გერ ხარიოვიჩ!

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი: მდაა! **ემლოხ სიკიტამოტვა ნახადნახ სიკოტ დარიშხრიშხ.** რა გიშველოთ? გასაგებია?!

დ ა ბ ა რ ა ძ ე, გასაგებია, გერ ხარიოვიჩ!

ა ბ ა რ ა ძ ე გასაგებია, გერ ხარიოვიჩ!

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი: თქვენი აზრი!

დ ა ბ ა რ ა ძ ე: მდაა! **ნიშამ სიიზორე სივთსირ იტობორ ცადნუთ...** უნდა გვიშველოთ!

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი: კმარა! გასაგებია! ახლა თქვენი აზრი, აბარაძე!

ა ბ ა რ ა ძ ე: მდაა! **ედმაზაფრო აერვილ ასიბეროშნაგ...** რა გვეშველება?

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი: კმარა! გასაგებია! **აილღი ივალღებან სიმულღა მაშ!**

დ ა ბ ა რ ა ძ ე და ა ბ ა რ ა ძ ე ე რ თ ა დ: დიდებულია, გერ ხარიოვიჩ, დიდებული!

შ ე მ ო დ ი ს მ დ ი ვ ა ნ ი: გერ ხარიოვიჩ, **ტაპარაპაშუკუნუკუ!..**

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი: შემოვიდეს. თქვენ წადით ახლა და, დუიტე! შეუბერეთ!

დაბარაძე და აბარაძე აღარაფერს ამბობენ, თავებს უკრავენ მდაბლად და გადიან.

დირექტორი და ცეცხლგამძლე სეიფი...

დირექტორი და დიდი მაგიდა...

დირექტორი და ას თერთმეტზე მეტი ტელეფონი...

გერ ხარიოვიჩი გასაგებია, მაგრამ ვაი თქვენს პატრონს, დაბარაძევ და აბარაძევ!

(დ ი რ ე ქ ტ ო რ ი ს ა დ ა მ ი ს ი თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ე ბ ი ს ო დ ნ ა ვ გ ა უ გ ე ბ ა რ ი დ ი ა ლ ო გ ი ი კ ი თ ხ ე ბ ა ს პ ა რ ს უ ლ ი ვ ი თ — მ ა რ ჯ ვ ნ ი დ ა ნ მ ა რ ც ხ ნ ი ვ).

აინუკაჯ ინავოლეგ

ნახ. ჯ. ლოლუასი



— სიევზს რომ გამიხვევთ, თითის გახვევაც არ დაგავიწყდეთ!

იგავები იგავები

ერთხელ არწივი ავად გახდა. იხმო მკურნალი. მკურნალმა ურჩია: თუ გინდა კიდევ იცოცხლო, ფრენას თავი უნდა დაანებო და სიარულზე გადახვიდეო. არწივს გაეღიმა და თქვა: სიარულზე უარს არ ვიტყოდი, მხოლოდ ერთი პირობით — ლომად თუ გადავიქცევიო.

— : —

ორი კაცი ერთმანეთს ეჩხუბებოდა. ეს დაინახა მგელმა, გაახსენდა ლათინური ანდაზა — „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“-ო და გაეცინა.

— : —

ერთი მელია ლომს მეფის ტახტს ეცილებოდა. ლომს ნადირებმა ამბავი მიუტანეს: მელია ამბობს, მეფე მარტო ღონიერი კი არა, ჭკვიანიც უნდა იყოსო. ლომს გაეღიმა და თქვა: მაგას რომ ჭკუა ჰქონოდა, ახლაც ცოცხალი იქნებოდაო.

— : —

ერთხელ ლომმა დაბადების დღე გადაიხადა. მეგობრებმა უამრავი სამახსოვრო საჩუქარი მიუტანეს: დათვებმა — დათვი, მგლებმა — მგელი, მელიებმა — მელია, კატებმა — კატა. ლომს გაუკვირდა და იკითხა: დათვებო! სად არის ხარი? მგლებო! სად არის ცხვარი? მელიებო! სად არის ქათამი? კატებო! სად არის თაგვი?

მათ დაიმორცხვეს და უპასუხეს: დიდო მეფეო! ადამიანი იხდის დაბადების დღეს და ყველანი იქ წაიყვანესო.

— : —

ერთხელ კურდღლებმა თქვეს: ადამიანები და მხეცები ჩვენს ხორცზე რომ გიჟდებიან, მოდით, ერთხელ ჩვენც გავსინჯოთ მისი გემოო. მათ სასწრაფოდ დაკლეს ერთი თანამოძმე და შეუდგნენ მის ჭამას. ამ დროს ჩამოიარა მგელმა და თქვა: არ გრცხვენიათ, მეგობრებო?! ამას ადამიანებიც აღარ ჩადიანო და ჩაიარა.

შოთა ჩანტლაძე

იგავები იგავები

ნახ. ჯ. ლოლუასი

— თქვენი გასაღები მათხოვეთ, იქნება ჩვენც კარებს მოვერგოს!
— არ აღვგამ.
— თქვენ რა იცით?
— რამდენჯერ მცადე!!!

ახალ ეკეთე ანეკდოტი

ცოლი მყავს, „ოუგს“ ვერ ვიტყვე,
ენა აქვს ოროტერანი,
ეფსეფოვის ტრეტაზში მუშაობს
სამეფალი, დისპეტჩერი.
ხელფასი მისი არ ვიცი,
სახლში არ მოიტანს ყაბაღი,
ვეთხოვე და ეტიკეტის ზღვას გაშლის,
არ გიანნია ნაბარი.
თვალუბეზე მოსდის ლეანოქაფად,
ინსს რა ჭირი დაამბარს?
მლანძღავს, მოთხოვს და სლუკუნებს:
„ლატარიასა ვთამაშობ!“
რა თამაშია, ვერ მიეხვი,
მაჭიოს ამოი ბეგვი,
თუ ასე უნდა, მოიგოს,
რას ბეგავს ამდენი წყეგება?!
ინსს რა წაიგებინეს,
ფული თუ ხელში მოიგდო.
ვინ დაიჯერებს, ათ წელში
ერთხელ როგორ ვერ მოიგო?
მოკვირეს და ვამცირებენ,
ეშვეს დამდალ ნოტტარით,
ჩემი ცოლი და წყეგება?
საკვირველია, ფმერთმანი!
თვის ბოლოს ფულსფუსდება,
მოსაგებნს ვიღაც ლოკაა,
შემდეგ ტანსაცმელს მოიტანს
ვიღაც ეკატერინეს ქერი ფასად.
ჩაიცვამს, დამშვებეს
საფრთხობელას ან ჭინკასა
და მერე ჩვენი საოკის ენ
ერთი საათ ტლინკაზეა.
ეგ ლატარეა ბეგონა,
მიზეზი კი ახვა ყოფილა,
ის დადის გამოწყობილი,
მე კიდევ — ფეფოშობილ.
ახლა გავიგე მიზეზი,
დიდხანს არ გავაბარაშეს,
ჩაცვამ-ადახურეფ მეც მოკვარს,
ხელოსს მეც ვიკოთამაშეს.

ბ. კაპელიშვილი

„ბორკა!“

„ძონავა ვეფხვივ, არ მაკოდა...“

ფოტმტს არ გკითხულობ: ვიცი, რაც სწერია შიგ. არც ტელეფონს ვკიდებ ხელს: ვიცი, რაზეც ზუნდა ფილაპარაკონ. აი, ვიმეკეთ, ეს ზერიალი:

„ტეფეთ“ რაიგანყოფილების უფროსს... ამასა და ამას, თბილისში, ამა და ამ ქუჩაზე მცხოვრებ, ამა და ამის განცხადება...

მოგახსენებთ რომ (რომის წინ მძიმე აკლია, — მძიმე მდგომარეობაა!) ამ რამდენიმე ხნის წინ ქორწილი, ხმის უმრავლესობით, არჩეულ ვიქენი თამადად“.

რაო?!

„წესის მიხედვით შევასრულე ყველა წესი, წესის მიხედვით შეა ფიმეს ჩაჭრა სინათლე ყველაფერი ნათელი იყო: „ბორკა!“

მორცხად ვიდექით სიბნელეში და ყველა თავის „ბორკაზე“ ფიერობდა, რადგან ყველას აქვს თავისი „ბორკა“. მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი ბოლო�d, ამ „ბორკას“ კი ბოლო არ უნანდა.

— რა ენახე ეს გაუთავებელი?! — ჯაისმა კუთხედან.

— ამოსდა ქალს სული!

— გაამეფეთ! — იყვირა ვიღაცამ.

— ანთეთ ახლავე სინათლე!

— სადაა სინათლე?!

— ვინ ჩაკრა?

— მამაჩემის მამამ!

— ვინ დაპატიეა?

— მიეწერე უკან!

— ახლა მიეცაღეტულს საათში სამიდი კიღოიმეტრით მიაკროლებენ, რას მიეწვეი!

— მორწიათ ახლა ბაზარს, ანთეთ სინათლეეე!

— ჩვენ ბრო ჩაგვიქრია, თავიანთ ჩაჭრა!

— ასეთ დროს დადარაჯებული არიან!

— მონტეიორს უნდა ვცეთ პატიენ!

— არაფერი არ გამოვა!

— ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს!

— რაღაა იგი სინათლეე? — გაიმართა შეკიბრეზა.

„ბორკა!“, „ბორკა!“ — გაიძახოდა ხალხი.

...ასეთ ელექტროოენერჯოთას წავისწარი ქალაქზეიგ, ასეთ გამოშთიშეეულ საქმიანობას წაგაწყოდ სხვა ქორწილზეიგ, რის შემდეგ მიეზიდეი, ვის რაში ჭიდრეზა თქვენი ორგანიზაციის ზოგიერთი მუშაკის მიერ ორგანიზებული „ფხის დანსილეზა“.

ჯთხოეთ მიმიეოთ, რათა გამომიკითხეთ „ბორკეთ“ გათვალისწინებული კოცნა!“

ბელა თილია

...ბორკა!

რეპორტიორი იქნა, გამიდიმა ბ ე ნ ა ძ (ჩვენი რაბასაჭრა მუშაკა) და ბინის ორფერი ორიფერიეთ ჩამბარა.

მერე სართულიან თბილისი ხელისუფლეთ მორაზს, თამაკე ბინა ბეხოლრეზეთ.

ბინაო ჩასაბერებს დაეფიარაბამ, გაბოდა მეზობლეზა.

— სიმონ! — ჯისაი ჩემს მეზობელს ორთასიან ბინაში, — ცოტა მარეხნეზე ჩაიწე და მაცოტინეზე ადამიანერად ტელეფონზეზ!

ბინიდან ელპატე, — ახლა ადერ ტეხნაში ვარ დადარაჯებული წყალზე, ეფლი წუთით წამოვა და ორი საათი მეწეადება, პირს პორეფიმით ვიბაპ.

— არ ეკიდაზეო! ამ რაბოტაში მორეკოს ეი არა, ლატარიის ბილეთს ვარ ეზოიეთან! — ნეფრეფილოსზა არდადეთან ლეანერია ზეოთბე სართულის ერთოთასიანი ბინიდან, — ერთი ეფლი წყალს ამოეკიბან ერთი ჭიკა პორეკეზეი.

— რაკომ არ ამოეკიბანა, რა, — ცხარობს ბაპარი ბეთანეზი ჭაბაკეზეი ამშეიდებს მეკეკეზე სართულის ორთასიანი ბინიდან ფიიმეიდეე.

— ამხანაგური სასამართლეო მოვაწყოთ ახლავე! — მეპოაკეს წინადადება სიმონს.

— ზერეკეფეზიან, არ არის საჭირო ამეეენი ამბავი, — ანზის გამოეკეკამ მეკე.

— მართალია, მართალია! — ბენეზის დასტურის ხმა სხვადასხვა სართულის სხეადასხვა ბინიდან.

— ბოლოს და ბოლოს, ნამუშაი არა

ნახ. ბ. ალაუიძისა

— ვის აკეთეთ, ამხანაგო! მართლა ბაკეთი ხომ არ გგონიეთართ?!

ცეროდენა ანეკდოტები

ცოლქმრობის დანაანიათეგა

ეეეელამ გამოთქვა თავისი მოსაზრება ცოლქმრობის შესახებ. ბოლოს ჯერ ხანმეშუსულ სტუმარზე მიდგა. მან თქვა:

— თავიდან ქმარი ლაპარაკობს, ცოლი უსმენს. შემდეგ ცოლი ლაპარაკობს, ქმარი უსმენს. მერე ორივენი ალაპარაკდებიან და მეზობლები უსმენენ.

ენამოსწრებული მფუემსი

ეანსურსანტი ბრალი მოეზმინა წეეეეს ბიჭს ეეეგდა:

— მართალი თქვი, ბიჭიკო! ს

ნახ. გ. ფირცხალავასი



— რადგან მთელი კურსი კინოში ხართ, ფილმის ნაცვლად, თქვენი ლექტორი წაგიკითხავთ გაცდენილ ლექციას!



— ერთი, თუ ძმა ხარ, ეს მამალი მოსკოვის დროზე გადამიყვანე!



სამსახურში მოსვლა.



სამსახურიდან წასვლა.

ავადმყოფი

ი. ბლაგოვი

მივიდა ექიმთან უღონო სნეული,
თვალებში ჩამდგარი შიშით;
— ექიმო, ძალ-ღონე მაქვს გამოლეული! —
წარმოთქვა სნეულმა ოხვრით და ვიშით.
გული გაუსინჯა ექიმმა,
დაუსვა ასეთი შეკითხვა:
— ბევრსა სწევ თამბაქოს?!
— არ ძალმიძს მე თქვენთან თავი რომ არ ვაქო,
არასდროს მიყვარდა, ექიმო, თამბაქო!
კვლავ სინჯავს ავადმყოფს მკურნალი ბეჯითად,
ფიქრობს და თან აძლევს ავადმყოფს შეკითხვას:
— ღვინო და არაყი, მითხარით, არ გიყვართ?
— ოხ, არა! რას ბრძანებთ, ბატონო, რას
ბრძანებთ!
ექიმო, სიცოცხლეს მე დიდად ვაფასებ,
ახალ წელს დიდ ჭიქას თუ ღვინით ავავსებ,
მაშინაც, მერწმუნეთ, ერთ წვეთსაც არ დავლევ!
კვლავ აძლევს შეკითხვას ექიმი მთქნარებით:
— მითხარით, ხომ გიყვართ თქვენ ლამაზმანები?
— რას ბრძანებთ, ექიმო! მტერი ვარ ქალების,
ჩემზე არ მოქმედებს ლამაზი თვალები.
არაფერს ვინაღვლებ, რომც გაწყდნენ ქალები!
— სნეულო, ეს ერთი შეკითხვა კიდევ მაქვს:
იქნება, გაწუხებთ რაიმე იდეა?
— ოხ, არა! ცხოვრება, ხომ ვიცი, კიბეა.
ადი და ჩამოდი, რად გინდა იდეა?!
ექიმი, წამოდგა, არა აქვს კითხვები.
— სნეულო, ნუ დარდობთ, ჯანმრთელად
იქნებით!
იცოცხლებთ თქვენ დიდხანს, აქედან იცოდეთ,
თუმც გეტყვით: რად გინდათ ასეთი სიცოცხლე?

გადმოაქართულა სერგო ლორთქიფანიძემ

ინგლისური იუმორი

ყოველთვის — არა!

სტუმარი: ყოველთვის ასე ჟონავს წყალი სახურავიდან?
სასტუმროს უფროსი: არა, სერ! მხოლოდ მაშინ, როცა წვიმს.

ერუსთვის შესაფერისი სამუშაო

— საცოდავი მოხუცი პერკინი სრულიად დაყრუვდა. ვშიშობ, რომ იგი სამუშაოს დაკარგავს.
— ამაოდ შიშობთ! მას გადაიყვანენ საჩივრის განყოფილებაში.

გულწრფელი ოფიციანტი

კლიენტი რესტორანში შევიდა, მენიუ აიღო და ოფიციანტს უხმო.
— აი თქვენ ზედმეტი საფასური! მითხარით, რას მირჩევთ?
ოფიციანტი დაიხარა და წაუჩურჩულა:
— მე თქვენ გირჩევთ, სხვა რესტორანში წახვიდეთ!

ჩაი თუ ყავა?

კლიენტი: ეს ჩაია თუ ყავა? ნავთის გემო აქვს.
ოფიციანტი: თუ ნავთის გემო აქვს, რასაკვირველია, ჩაია, ჩვენს ყავას საპნის გემო აქვს.

თარგმნა მანანა ფანჯარაძემ

* * *

რედაქტორი: ეს პოემა თქვენ თვითონ დაწერეთ, სერ?
პოეტი: რასაკვირველია!
რედაქტორი: მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრით, ბატონო ჯორჯ გორდონ ბაირონ! მე კი მეგონა, დიდი ხნის მკვდარი იყავით.

* * *

ავტორი: რა უფლება გაქვთ, დამიწუნოთ ნაწარმოები, როცა თქვენ არც ერთი სტრიქონი არ დაგიწერიათ?!
რედაქტორი: მე არც კვერცხი დამიდვია, მაგრამ ქათამზე უკეთესად ვიცი ერბო-კვერცხის გემო.

თარგმნა ციალა იოსავამ



— ეს არის ხალხური შემოქმედება?!

ქაჯაია და ქაჯეგი!

მმისტორიებ! როცა ჩვენს ჟურნალს გადაშლი, გვერდს ნუ აუვლი წინამდებარე გვერდს, შენს წინაშეა ნიანგის გალერეის იშვიათი ეგზემპლარი — შოთა ქაჯაია!

ვინ რა გზით ხვდება ისტორიაში!.. ჩვენი სატირალ-იუმორისტული გმირი ყოველგვარი პროტექციის გარეშე გახდა ისტორიული პიროვნება.

შოთა ქაჯაია წყალტუბოს სანეპიდსადგურის პროფდეზინფექციის განყოფილების გამგეა. ცხადია, ამ თანამდებობით ძნელია ისტორიაში შესვლა, მაგრამ შ. ქაჯაიას სხვა შანსი აქვს.

...პროფდეზინფექციის განყოფილება ებრძვის ხოჭოებს, რწყილებს, ვირთხებს, თაგვებს და ა. შ.

ყველას, ყველას ეშინია წყალტუბოში პროფდეზინფექციის განყოფილების გამგისა, გარდა ხოჭოებისა, რწყილებისა, ვირთხებისა, თაგვებისა და ა. შ

ქაჯაიას ხელშია 85 კაციანი შტატი, მსუბუქი თუ სატვირთო ავტომანქანები, მრგვალი ბეჭედი და თბილი ადგილი... და გეგონებათ, ნარდში ჭონდეს მოგებული, ხელიდან ვერ გამოწიწვნი ვერცერთს.

ყველას საქმეში ერეოდა „შოთა ევგენიჩი“ და ვერავინ ერეოდა მის საქმეში. კაცი უნდა ხერხი იყოსო, ამბობდა და გაჭქონდ-გამოჭქონდა. მოგეხსენებათ, ზოგადი სტატისტიკით ერთი „ბედნიერება“ ყველას გვჭირს — მსოფლიოში რამდენი ადამიანიცაა, იმდენი თაგვია. წყალტუბოში კი ზოგან ერთ სულ მოსახლეზე იმდენი თაგვი მოდის, რომ თამამად შეგიძლია, ნებისმიერი დანაკლისი და სისხლის სამართლის საქმე აპკიდო. ისიც მოგეხსენებათ, რომ ხოჭოები, რწყილები და ვ[illegible]ხები გიჟები არ არიან, რომ პირდაპირ დუსტი იყარონ პირში და ყურში. ვისაც მულტფილმები „წუნა და წრუწუნა“ ან „ჩჩიკვთა ქორწილი“ გინახავთ, დამეთანხმებით, რომ მათ „თხილის კნაწუნი“ უყვართ. ამიტომ ეძლევა სწორედ პროფდეზგანყოფილებას კარგა ძალა თხილი, შაქარი, ძეხვი... ვინ ჭამს ყოველივე ამას? — ეკითხებიან გამგეს. ყოველივე ამას ჭამენ თაგვები, ვირთხები, ხოჭოები! — უპასუხებს გამგე. ვინ „ჭამს“ ყოველივე ამას? — კვლავ ჩურჩულებენ თანამშრომლები... გამგეს კი გამოსხმული აქვს ასი თვალი, ასი ყური და, აბა რისი გამგეა, ყველაფერს იგებს. კრიტიკა ქვემოდან — ბრძანების ამონაწერი ზემოდან! ქაჯაიამ ქაჯეთივით მიუვალი გახადა პროფდეზინფექციის განყოფილება. მაგრამ ციხე შიგნიდან გატყდა, სიმართლემ თავი ვეღარ დამალა. ერთ მშვენიერ დღეს შ. ქაჯაიამ მუხლებში სისუსტე იგრძნო, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლით დაუწყეს ლაპარაკი. ეს დღე იყო 1966 წლის 2 სექტემბერი. ჩვენს ხელთაა პროკურატურის დადგენილების ასლი:

...შოთა ევგენის ძე ქაჯაია სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებს სურვილისამებრ, არღვევს საფინანსო-საკასო დისციპლინას, თვითნებურად ხარჯავს სახელმწიფო სახსრებს, ორგანიზაციიდან ღებულობს სამუშაოს შესრულების საეჭვო აქტებს, აფორმებს ყალბ ხელწერილებს, თანხის მიღებაზე ზოგჯერ ერთის მაგივრად მეორე აწერს ხელს (თუმცა, რაღაზე არ აწერინენ აქ ხელს!), უსაფუძვლოდ ხსნის სამუშაოდან უდანაშაულო პირებს... და მთავარი: შ. ქაჯაიამ უეჭველად იცოდა, რომ გახყოფილების დეზინფექტორებს არ შეუსრულებიათ იმ მოცულობის სამუშაოები და არ დუხარჯავთ იმ რაოდენობის შხამმასალა, რაც აქტებში არის ნაჩვენები! უბრალო არითმეტიკაა — აქტებში ნაჩვენები სამუშაოებისათვის საჭირო იყო 10.125 მანეთის შხამმასალა, განყოფილებას კი მიღებული აქვს მხოლოდ 3.965 მანეთის შხამქმიმიკატი... დანარჩენი ალბათ პროკურატურაში წაშხამქმიმიკატდებათ ცხვირიდან.

გადატვირთული ვარო და პროკურატურაში არ გამოცხადდა, სამსახურში გამოეცხადნენ, მერე იკადრა და მობრძანდა, მაგრამ ახლა ჩვენების მიცემაზე თქვა უარი.

...დღესაც მის ხელშია რევიზირებული საბუღალტრო საბუთები. მიზანშეუწონლად მიმაჩნია მისი თანამდებობაზე დატოვება.. .ასლი დედანთან სწორია. — ვკითხულობთ დადგენილების ბოლოში.

— აბა, რომელი ხართ, გამოდით, დამენახეთ, ვინც ამ დღეში ჩამაგდეთო!—ისროლა ხელთათმანი ქაჯაიამ და თანამშრომლებს დაერია. სწორედ იმ ხანებს ეკუთვნის ეს იშვიათი წერილობით დოკუმენტი, რომელსაც მცირე შემოკლებით ვაქვეყნებთ.

სამსახურებრივი დახასიათება.

მიეცა დეზინფექტორ-დერატიზატორ გოგავა თალიკო ნიკოლოზის ასულს, რომ იგი არის დაუსვენებელი ინტრიგანი, რომელსაც გასული წლიდან ცილისმწამებლური საჩივრებით შეწუხებული ყავს როგორც რაიონული ხელმძღვანელი ამხანაგები, ასევე რესპუბლიკური ხელმძღვანელები და არის პირადად ჩვენი შრომისმოყვარე კოლექტივის დაუსვენებელი და ძირგამომთხრელი მტერი, თანამშრომლებისადმი შემეჭეზებელი და საერთო საზოგადოებრივი საქმიანობაში გულის ამცრუებელი და კუთხური დამცინავი — სხვადასხვა კილოთი, სამუშაო საათების სისტემატურად არასაპატიო მიზეზით გამცდენი, რომელმაც ოჯახური მდგომარეობის გამო თავი გაგვანთავისუფლებია ა/წ. 24 მარტიდან, 28 მარტამდე და მან კი მადლობის მაგიერ ისარგებლა ამით და ამ პერიოდში ცილისმწამებლური საჩივრებით გაემგზავრა ქ. თბილისში საქ. სსრ ფინანსთა სამინისტროში მინისტრთან, სადაც დაჰყო სამი დღე და აიძულა ხელმძღვანელი ამხანაგები შესამოწმებლად ჩამოსულიყო ბრიგადა და რომელთა მიერ ორი თვის განმავლობაში ნაცვლად ხელშეწყობისა პირიქით ხელი შეუშალა ჩვენი განყოფილების ნორმალურ მუშაობას, როგორც ადმინისტრაციისადმი, ასევე ადგილკომისადმი თითქმის ყოვილდღიურად სიტყვიერი შეურაცხყოფის მიმყენებელი, ამხანაგებისადმი ვინც წესრიგისაკენ მიუთითებს შეურაცხმყოფელი... ადმინისტრაციისადმი სისტემატურად ნორმალური მუშაობის ხელისშემშლელი და დებოშის ამტები... როგორც ჩვენს განყოფილებაში ასევე განყოფილების გარეთ უცხო ხალხში ჩვენი ავტორიტეტის შემლახველი და სახელის გამტეხი, რომელიც უცხო საზოგადოებაშიც ჩვენი განყოფილების მოურიდებელი შეურაცხმყოფელია.

დახასიათება ეძლევა სამედიცინო სასწავლებელში წარსადგენად.

წყალტუბოს რაიონის
პროფ-დეზ. განყოფ. გამგე:
შ. ქაჯაია (ხელმოწერილია)

ადგილკომის თავმჯდომარე:
გ. ი. ჩიხლაძე (ხელმოწერილია)

ამ დახასიათებით გოგავას სასწავლებელში კი არა, კინოში არ შეუშვებენ.

...განვაგრძობთ ჩვენს კრიტიკულ რეპორტაჟს. რა მოხდა შემდეგ:

წყალტუბოს რაიონის მთ. ექიმს ამხ. ვ. გ. სირაძეს.

გეგზავნებათ დადგენილება შოთა ევგენის ძე ქაჯაიას თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. გთხოვთ დადგენილება დაუყოვნებლივ მოიყვანოთ სისრულეში. წყალტუბოს რაიონის პროკურორი ნ. ინოზემცევი. 5. IX-66 წ.

დაუყოვნებლივ დაიწერა ბრძანება, მაგრამ შ. ქაჯაია ვერ ააწყვნეს სკამიდან. მილიცია რომ დაადგა თავზე, ზრდილობისთვის წამოდგა და... კიდეც გამოაცალეს სავარძელი. თუმცა როდი დაიბნა, კვლავ „გაახჭუნა“ ტვინი და უმაგალითო გადაწყვეტილება მიიღო. იმავე საღამოს გამოჰყვა ქაჯაია წყალტუბოდან ქუთაისში მომავალ ქარს, შემდეგ ქუთაისიდან თბილისში ამოჰყო თავი და აქედან ისეთი დეპეშა ხეთქა უკან, ქვას გახეთქავდა.

...15 სექტემბერს, ღამის 1-2 საათზე თბილისის მთავარი ფოსტამტის კარები მოკრძალებით შეაღო წყალტუბოელმა ოსტაპ ბენდერმა და ასეთი ტელეგრამა გააშანშალა:

ცხალტუბოს მტავარ ეკიმს ამხანაგ სირადზეს.

პროპილაქტიკური დეზინპეკციის განკოპილების საკიტხზე გააუკმეტ ტკვენი ბრდჟუჟბრრრზანება (აქ ეტყობა ხელი აუკანკალდა) კისტაურტან და ჩემტან შეუტანხმებლად ვინაიდან ტკვენ მაგის უპლება არ გაკვტ... დჯანდაცვის მინისტრი...

რას სჩადიტ! არც ტკვენ გაკვტ მაგის უპლება შოტადჟან! (ბ. დ.).

ამ დეპეშას ბეჭედი უნდაო, უთხრეს ღამის უცნაურ კლიენტს.

მრგვალი უნდა თუ სამკუთხედიო, გაიკრა ჯიბეზე ხელი ქაჯაიამ და სამინისტროს დეპეშას „სათაგვიას“ ბეჭედი გლიჯა. შემდეგ თავმდაბლურად მოითხოვა საჩივრის წიგნი და თავისი შთაბეჭდილება ჩასწერა:

მეტად კმაყოფილი ვარ ფოსტის თანამშრომლების ყურადღებით (უფრო სწორი იქნებოდა —„უყურადღებობით“ — **გ. დ.**) კეთილშობილურ და თავაზიანი მუშაობისათვის, რისთვისაც მადლობას უცხადებ ამ კოლექტივს განსაკუთრებით არუთინოვი სედა ოგანეზის ასულის და კარაპეტიან ამალიასი. უსურვებ მათ ასე კეთილშობილად ემსახუროთ (კარგი დახლიც დაუდგებათ! — **გ. დ.**) და გაეწიოთ ასეთი თანაგრძნობა დიდხანს...

კვლავ გაიკრა ჯიბეზე ხელი. ამ შთაბეჭდილებასაც ამშვენებს მრგვალი ბეჭედი.

რა ფასი აქვს ყალბი კაცის ყალბ მადლობას?! თუნდაც წიგნში შეტანით. იგი ფოსტის მუშაკებს ნაღდ, ბრძანებით გაფორმებულ საყვედურებად დაუჯდათ.

მეორე დღეს ალიონზე მიადგა ქაჯაია ფოსტას, რაღაცის მომიზეზებით გუშინდელი დეპეშა მოითხოვა და მასთან ერთად თვალსა და ხელს შუა აორთქლდა.

...დადის ახლა წყალტუბოს ქუჩებში ქაჯაია. როგორც იტყვიან, თავი ქუდში აქვს, გული — საგულეში, ფული — საფულეში... დეზინფექტორის სამსახურებრივი სიდინჯით ანთხევს შხამსა და წამლავს ყველაფერს.

გაიოზ დაუნიანი.

მთავარი რედაქტორი **ნოდარ დუმბაძე.** სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პ/მგ. მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე (მთავ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, ო. ჭელიძე. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ტელ. 9-76-69, 3-10-78. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა. ხელმოწ. დასაბ. 30/XII 1966 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდ. 1. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 4419, უე 03421. ტირაჟი 64000.

67-17

ИНДЕКС 76317

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის ჟურნალი

ნიუ-იორკის უნივერსიტეტი

ДУЕЛИС ИСТОРИИДАН

ЕРТХЕЛ გერმანიის გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ და გენერალმა ბისმარკმა დუელში გამოიწვია ერთი მეცნიერი. ბისმარკი ბრწყინვალედ ფლობდა იარაღს, მაგრამ მაინც დაიწყო გამალებული ვარჯიში სროლასა და ხმალობაში. მეცნიერმა ყოველივე ეს კარგად იცოდა და ბრძოლის იარაღად ორი სოსისი შეარჩია; ერთ-ერთში იმდენი შხამი იყო, რომ მთელ პოლკს მოწამლავდა. ბისმარკს შეეშინდა, ბრძოლაზე უარი თქვა და თავი იმით-ღა იმართლა, რომ გმირებს ბრძოლის წინ ჭამა არ მართებთო.

საფრანგეთში მუსიე პიკმა და მუსიე გრანპერმა, რომლებსაც ერთი პრიმადონა უყვარდათ, გადაწყვიტეს ჰაერში მოეწყოთ დუელი. ისინი ჩასხდნენ საჰაერო ბურთების გოდოლებში, წაიღეს ზუმფარიანი თოფები და ტყვია-წამალი. როდესაც საჰაერო ბურთები ორასი მეტრის სიმაღლეზე, თოფის სასროლ მანძილზე, მიუახლოვდნენ ერთმანეთს, ატყდა სროლა. მუსიე გრანპერი უფრო მოხერხებული აღმოჩნდა, ტყვია ბურთს მოარტყა, დასწვა და მოწინააღმდეგე მიწაზე დაენარცხა. ყველაზე ტრაგიკული მაინც ფინალი აღმოჩნდა: პრიმადონა აღარ დაელოდა გამარჯვებულის მიწაზე დაშვებას და მესამე თაყვანისმცემელთან ერთად გაიპარა ბრძოლის ველიდან.

დუელის კლასიკური შემთხვევა მოხდა ჩვენი საუკუნის დასაწყისში ამერიკაში. ერთმა ათლეტური აღნაგობის მწერალმა დუელში გამოიწვია გაზეთ „ჩიკაგო-სანის“ ჟურნალისტი. სანამ მწერალი დაადგენდა, რომელ იარაღს უკეთ ფლობდა, დაშნას თუ პისტოლეტს, ჟურნალისტმა თეფშებით ბრძოლა შესთავაზა. მოწინააღმდეგენი ექვს ნაბიჯზე უნდა დამდგარიყვნენ და ერთმანეთისთვის ტორტით სავსე თეფშები ესროლათ სახეში. მწერალი მიხვდა, რომ გამარჯვების შემთხვევაშიც კი „დაკარგავდა სახეს“ და გამოწვევა უკან წაიღო. ჟურნალისტი კი მთელ ქვეყანაში ცნობილი კაცი გახდა.

კალიფორნიაში ორმა ფერმერმა მსუბუქი მანქანებით გადაწყვიტეს დუელი და სეკუნდანტებად ექიმი და მექანიკოსი შეარჩიეს. დილით, როგორც კი ძროხები მოწველეს, მოწინააღმდეგენი მინდორში გავიდნენ და ორი მსუბუქი მანქანა ერთმანეთისკენ დაიძრა. გაისმა დაჯახების ხმა — ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... მანქანებისგან თითქმის აღარაფერი დარჩა. ბოლოს, ერთ-ერთი გვერდიდან დაეჯახა მეორეს და ორივენი ამოყირავდნენ. დასახიჩრებული ფერმერები სასწრაფოდ გააქანეს საავადმყოფოში, ხოლო გოგონა, რომლის გულისთვისაც მოხდა დუელი, მსუბუქი მანქანის მაგივრად, ავტობუსით წავიდა სახლში.

ნარევი

ერთი იმპრესიონისტი ფრანგი მხატვრის — ონისტა მატისას ნახატი ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში იყო გამოფენილი. იგი თვენახევარში 116 ათასმა კაცმა ნახა და მხოლოდ 47-ე დღეს შეამჩნია გამოფენის მომწყობმა კომისიამ, რომ სურათი მთელი ამ ხნის განმავლობაში თავდაყირა ეკიდა.

* * *

„ფაუსტის“ სიუჟეტზე 53 ოპერაა დაწერილი. მათ შორის ერთ-ერთი — „მეფისტოფელი“ ეკუთვნის იტალიელ კომპოზიტორ არიგო ბოიტოს, რომელიც მარტო იმითაა ცნობილი მსოფლიოში, რომ ექვსი საათისა და 10 წუთის განმავლობაში „ატკბობდა“ მსმენელებს. საცოდავი მაყურებლები გამოთაყვანებული გამოდიოდნენ სპექტაკლიდან და კიდევ კარგი, რომ იგი აღარსად იდგმება ახლა.

* * *

ყველაზე ძვირად მსოფლიოში მიწის ნაკვეთები ინგლისის სამრეწველო და საფინანსო მაგნატების რეზიდენციაში, ლონდონის სიტში ფასობს. 1954 წლის სექტემბერში იქ 100 კვადრატულ მეტრზე ოდნავ დიდი მიწის ფართობი სამასი ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა. ეს თანხა სავსებით საკმარისია, რომ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი რამდენიმე ფენად დაიფაროს ერთი ფუნტი სტერლინგის ღირებულების ბანკნოტებით.

* * *

მსოფლიოში ყველაზე მძიმე კერძია შემწვარი აქლემი. ეს დელიკატესი ბედუინების საქორწინო მაგიდის ტრადიციული სამკაულია. იგი მზადდება ასე: მოხარშული კვერცხი ითუშება თევზში, თევზი — მოხარშულ ქათმებში, ქათმები — შემწვარ ცხვრებში, ბოლოს ყველაფერ ამას დაკლული აქლემის მუცელში დებენ და როცა ეს უკანასკნელიც კარგად დაიბრაწება, მოქეიფეებს მიართმევენ.

* * *

ყველაზე მრავალსიტყვა გაზეთი მსოფლიოში 1963 წლის 7 ნოემბრის „ნიუ-იორკ ტაიმსის“ საკვირაო გამოშვება იყო. იგი შედგებოდა 702 გვერდისაგან და სამ კილოგრამს იწონიდა.

ამერიკის შეერთებული შტატები აშკარად ხელს უწყობენ დასავლეთ გერმანიის რევანშისტების მისწრაფებას ევროპის თანამედროვე საზღვრების რევიზიაში.



ნახ. გ. ლომიძისა

№ 17
შემოვიდა 10 7
10/1 წელი

ბონელი რევიზორი.